მოსკოვში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი – „ჩერნიგოვში წიგნის პალატა“ გაიხსნა

2021 წლის 30 სექტემბერს მოსკოვში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის – „ჩერნიგოვში წიგნის პალატა“ – გახსნა შედგა. ცენტრი მოსკოვში ჩერნიგოვის საპატრიარქო მეტოქიონის ერთ-ერთ რესტავრირებულ შენობაში განთავსდა.

ცენტრის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ზოგადსაეკლესიო ასპირატურისა და დოქტორანტურის ცხოვრებაში, რომელიც მეტოქიონის კედლებშია განთავსებული. „ჩერნიგოვში წიგნის პალატის“ სცენაზე რეგულარულად ჩატარდება ახალი წიგნების პრეზენტაციები, თემატური მრგვალი მაგიდები, სემინარები, გამოფენები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება ძველ და თანამედროვე ქრისტიანულ ინტელექტუალურ კულტურას. ცენტრის სტუმრებს მრავალფეროვან სულიერ ლიტერატურას სთავაზობენ, მათ შორისაა: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესა და სხვა თანამედროვე მართლმადიდებელი ავტორების ნაწარმოებები; წმინდა მამათა შემოქმედება;

ლიტერატურა ღვთისმეტყველების შესახებ, ბიბლეისტიკა, პატროლოგია, საეკლესიო ისტორია; სასწავლო სახელმძღვანელოები სასულიერო სასწავლებლებისათვის; საგანმანათლებლო და პოპულარული ლიტერატურა.

კულტურული ცენტრის „ჩერნიგოვში წიგნის პალატის“ გახსნა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, წმინდათა კირილესა და მეთოდეს სახელობის ზოგადსაეკლესიო ასპირატურისა და დოქტორანტურის რექტორის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტის ილარიონის, მაღალიერარქებისა და კლირიკოსების, აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლების, კულტურის, მეცნიერების და წიგნის ინდუსტრიის წამყვან მოღვაწეთა მონაწილეობით შედგა.

ღონისძიების მონაწილეებს შორის იყვნენ მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის მოადგილე ზელენოგრადის ეპისკოპოსი საბა; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მღვდელმონაზონი მაკარი (კომოგოროვი); რუსეთის წიგნის პალატის დირექტორი ე. ბ. ნოგინა; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული ეროვნული მეურნეობისა და სახელმწიფო სამსახურის რუსეთის აკადემიის რექტორი ვ. ა. მაუ; რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის რექტორი ა. ვ. იაკოვენკო; რუსეთის სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკის დირექტორი მ. დ. აფანასიევი; რუსეთის განათლების აკადემიის პრეზიდენტი ო. იუ. ვასილიევა; პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გ. ვ. ვერენიჩი; ტელეარხის „Спас“-ის გენერალური დირექტორი და გენერალური პროდიუსერი ბ. ვ. კორჩევნიკოვი.

მიტროპოლიტმა ილარიონმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ შენობა, რომელშიც კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია განთავსებული – ჩერნიგოვის საპატრიარქო მეტოქიონის კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი ნაგებობაა, რომელიც კომპლექსურ რესტავრაციას დაექვემდებარა. მანამდე რესატავრირებულ იქნა ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის მთავარი სასწავლო კორპუსი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთისა და წმინდა ჩერნიგოველი მოწამეების სახელობის ეკლესიები, სამრეკლო. რემონტი დასასრულს უახლოვდება შენობაში, სადაც ზოგადსაეკლესიო ასპირანტურის უცხოელი სტუდენტებისთვის ლინგვისტური ცენტრი განთავსდება.

შემდეგ მეუფე ილარიონმა აღნიშნა: „ბევრი საუბრობს, რომ ადამიანებმა ქაღალდის წიგნების კითხვა შეწყვიტეს, ისინი მხოლოდ აუდიო წიგნებს უსმენენ ან ელექტრონულ წიგნებს კითხულობენ. და ეს მართალიცაა, მაგრამ ჩვენი გამოცდილება აჩვენებს, რომ ქაღალდის წიგნებზე მოთხოვნა გრძელდება“. მან ასევე ისაუბრა „ჩერნიგოვში წიგნის პალატის“ ამოცანებზე, გამომცემლობა „პოზნანიეს" [„Познание“ - შემეცნება] სამუშაოზე და, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლებისა და საღვთისმეტყველო კათედრების სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების კორპუსის მომზადების მიმდინარეობაზე.

ე. ბ. ნოგინამ აღნიშნა, რომ დღეს ინტელექტუალურ საზოგადოებას არ ჰყოფნის სასულიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. მან გასული წლის სტატისტიკა მოიყვანა: რეგისტრირებული გამოცემების მთლიანი მოცულობიდან ლიტერატურის მხოლოდ 12% და პერიოდული გამოცემების 11% მიეკუთვნება სასულიერო და საგანმანათლებლო მიმართულებას. რუსეთის წიგნის პალატის დირექტორმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო

ცენტრის გახსნა ხელს შეუწყობს ამ მიმართულების განვითარებას.

მ. აფანასიევის თქმით, კულტურის ცენტრის გახსნა – „დიდი მოვლენაა, რომელიც სცილდება წიგნისა და კულტურის საქმიანობის ფარგლებს“. რუსეთის სახელმწიფო ისტორიული საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა აღნიშნა, რომ „ჩერნიგოვში წიგნის პალატა“ შეიძლება გახდეს პლატფორმა, სადაც ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეუძლიათ შეხვედრა და ფართო სპექტრის საკითხების ღიად განხილვა, ისე რომ კონფლიქტში არ შევიდნენ. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს არის ადგილი, რომელიც შეხვედრების სწორ კონტექსტს აყალიბებს, და მისი განვითარების იმედი გამოთქვა.

შეხვედრის სტუმრებმა თავიანთ გამოსვლებში მოსკოვის გულში ამ კულტურულ-ინტელექტუალური ცენტრის შექმნის პერსპექტივა და მნიშვნელობა აღნიშნეს.

ა. ბ. იაკოვენკოს მოსაზრებით, ჩერნიგოვის მეტოქიონის კულტურული ცენტრი უნდა იქცეს ელჩებისა და დიპლომატებისთვის აუცილებელ სანახავ ადგილად, რომლებსაც შეეძლებათ, ამ „ცოდნის საგანძურს“ შეეხონ.

ახალი ადგილის გახსნისთვის, სადაც წიგნების განხილვა და ცოდნის გაცვლაა შესაძლებელი, ვ. ა. მაუმ მადლიერება გამოხატა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მიტროპოლიტ ილარიონისადმი.

ზელენოგრადის ეპისკოპოსმა საბამ იმედი გამოთქვა, რომ „ჩერნიგოვში წიგნის პალატა“ იქცევა არა მხოლოდ ლიტერატურის განსახილველ, არამედ თანამოაზრე ადამიანების შესახვედრ ადგილად.

ო. ი. ვასილიევამ თავისი თხოვნა და სურვილი გააჟღერა, რომ „ჩერნიგოვში წიგნის პალატამ“ თვეში ერთი დღე გამოყოს საბავშვო და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩასატარებლად, ხოლო გ. ვ. ვერენიჩმა მიტროპლიტ ილარიონს პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებელი საზოგადოების თავმჯდომარის სერგი ვადიმის ძე სტეპაშინის შეთავაზება გადასცა „წიგნის პალატის“ კედლებში საზოგადოების 140 წლის საიუბილეო დღესასწაულის ჩასატარებლად.

ღონისძიების დასასრულს, მიტროპოლიტმა ილარიონმა სტუმრებისთვის კულტურის ცენტრში ექსკურია ჩაატარა და ასევე სამახსოვრო საჩუქრები გადასცა –თავისი წიგნი „ჩვენი დღეების წმინდანები“, რომელიც ეძღვნება ექვს თანამედროვე მოღვაწეს, რომლებსაც მეუფე პირადად იცნობდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „ჩერნიგოვში წიგნის პალატა“ მდებარეობს შემდეგ მისამართზე: მოსკოვი, ჩერნიგოვის შესახვევი, სახლი 6/1, შენობა 3 (წმინდა მოწამეების მიქაელისა და თეოდორე ჩერნიგოველების ტაძრის ტერიტორია).

აქტუალური ინფორმაცია „ჩერნიგოვში წიგნის პალატისა“ და მასში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი იქნება სოციალურ ქსელებში:

Facebook: @chernigovchamber

ВКонтакте: @chernigovchamber

Instagram: @bookchamber77

ზოგადსაეკლესიო

ასპირანტურისა და დოქტურანტურის

პრესს-სამსახური/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88169/